ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

დაბა ქედა

განკარგულება:**g-95. 95232092**

თარიღი:**28/07/2023**

ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არამატერიალური ქონებრივი სიკეთე შპს ,,საფეხბურთო კლუბი ბეთლემი“-ს (ს/ნ-446754245) 100%-იანი წილის ელექტრონული აუქციონის წესით განკარგვის თაობაზე, ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 118-ე მუხლის პირველი პუნქტის, 124-ე მუხლის, 125-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 126-ე მუხლის, 127-ე მუხლისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1.მიეცეს თანხმობა ქედის მუნიციპალიტეტის მერს როლანდი ბერიძეს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არამატერიალური ქონებრივი სიკეთე შპს ,,საფეხბურთო კლუბი ბეთლემი“-ს (ს/ნ-446754245) 100%-იანი წილის, მართვის უფლებით 29 წლის ვადით ელექტრონული აუქციონის წესით გასხვისების თაობაზე.

2.ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არამატერიალური ქონებრივი სიკეთე შპს ,,საფეხბურთო კლუბი ბეთლემი“-ს (ს/ნ-446754245) 100%-იანი წილის საწყისი საფასური განისაზღვრა *სსიპ ლევან* სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის (№003614923; 30.05.2023 წლის) მიხედვით, რომელმაც შეადგინა 2000 (ორი ათასი) ლარი.

3.განკარგულების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიამ (თავმჯდომარე - მერაბ ნაკაშიძე).

4.მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს - როლანდი ბერიძეს.

5.განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

6.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

7.განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი